# სახალხო გაზეთი

№ 1095 ხუთშაბათი, 21 იანვარი 1914 წ. № 1095

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდენი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძალაპირაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა ... კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, კართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებისანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



## ქართული თეატრი იუბილე კვირას 26 იანვარს

## კონსტანტინე დიმიტრის ძის ყიფიანისა

ბილეთები თეატრის კასაში იყიდება.

საიუბილეო კომიტეტი. 1033

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მოწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

**პირველი წიგნი:** „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი:** „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი:** „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:** 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, ისპავლი ეზოდან. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

**ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

### გორის პირველი კერძო სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. ზ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

### ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს, 1914 წ., ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ **გ. აბაშიძის და გ. გედევანოვის მონაწილეობით ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება:

I

**პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა**

**„ბედნიერი დღე“.**

კომედია 3 მოქმ. პ. ირეთელისა.

II

**ხანუმა**

მე-2 და მე-4 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, მდივანი, პიერეტა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, შანშიაშვილი, ციციშვილი, ხონელი და სხ. ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

**დასაწყისი სწორედ საღ. 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დონ კარლოსი“, „ისმინე ისრაელ“, „შენი ჭირიმე“, „ამოცანა“ და სხ.

1006 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

### დღეიდან ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

**ვაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

**წამლობა „914“.**

1023

### ტფილისის კერძო სამკურნალო

... ქუჩა, ... სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცხლის სასტუმროს ახლო.

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილებებს.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი ვ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და შიგნების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი სასყიდლით. 1496

### ახალი კლუბი

**სამშაბათს, 21 იანვარს,**

### საოჯახო საღამო.

თეატრის სცენაზე სინემატოგრაფი ივანიცკისა. თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრ. იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდენტი 25 კ.

**ანონსი:** შაბათს, 25 იანვარს, „მასკარადი“. 1007

**1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

წელიწ. მეგათე. **„ნაკადული“** წელიწ. მეგათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.**

**36 სურათი,** წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი-„მზის ქვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“,**

(მრავალი სურათებით), **თარგმ. ანთელიძისა.**

**ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—სიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთაჯრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან და კ. თელიასთან, **ზესთაფონში**—ქნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—სინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—ქნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. სათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან, **რაჭაში**—ილია გოგიახთან, **ნახიჩევანში**—სამსონ მარჯანიშვილთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დი პ. თუმანიშვილი.

### ელექტრონის, რენტგენის სინათლის სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

### მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—... საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

**საზღვარ-გარეთის კიმონო**

### რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

**— გამოსულია და იყიდება —**

### ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ.

ფასი 30 კაპ.


იანვრის 18-ს, ქალაქ სოხუმში უეცრად გარდაიცვალა ქვრივი **აარონ იანქოშვილისა**

**მარიამ (მაგდანი) ზაქარიას ასული იანქოშვილისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილი მისი მათე და რძალი დარო თავიანთ შვილებითურთ, ქალი მისი ნინო მაჭავარიანისა და სიძე ექიმი მაჭავარიანი. მიცვალებულს მოასვენებენ ტფილისის ვაგზალში სამშაბათს, 21 იანვარს, ხოლო იქიდან სამების ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა ხუთშაბათს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე წირვის შემდეგ. 30

დღეს, 21 იანვარს, 1914 წ., ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლიური წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულ დაუვიწყარ და საყვარელ ძმის

**პეტრე ზაქარიას ძე ნასიძის,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს ძმა გარდაცვალებულისა **თომა ზაქარიას ძე ნასიძე.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, შემდეგ პანაშვიდი 12 საათზე განსვენებულის საფლავზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 29

**მარიამ ლუკას ასული, ვარლამ იასონის ძე ჩიქოვანი და ალექსანდრე ლუკას ძე ქორქაშვილი** უგულითადეს მადლობას უცხადებენ ერევნელ ქართველთ და სხვათა, რომელთა პატივი სცეს მათ და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს უდროვოდ გარდაცვალებულ

**ნატალია ლუკას ასულ ქორქაშვილის**

ერევნიდან გამოსვენებაში. 26

კნეინა ეკატერინე დავითის ასული, თავადნი: **ილია ივანეს ძე, კონსტანტინე, დავით და ალექსანდრე გიორგის ძენი და კნეინა ნატალია გიორგის ასული ციციშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ სპარსეთში უდროოდ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა—საყვარელი მამა, მესამესი—დაუვიწყარი ძმა და მეოთხის საყვარელი მაზლი

თ-დი ივანე გიორგის მე|ჩიტოს შვილი

# ციციშვილი

მიცვალებულს მოასვენებენ ოთხშაბათს, 22 იანვარს დილის 9 საათზე ტფილისის სადგურზე და იქიდან წაასვენებენ თავის სახლში არაგვის ქ. № 5. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება შაბათს 25 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც ცხედარს გაასვენებენ დილის 10 საათ. 56

# ქართული თეატრი

**კვირას, 26 იანვარს, 1914 წ.,** ქართ. დრამატ. საზოგად. გამგეობის მიერ

# კ. დ. ყიფიანის

**45 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად**

ქართულ სცენაზე გამართული იქნება

## საღლესასწაულო საიუბილეო წარმოდგენა

**დ ი ლ ი თ:**

**კონცერტი და სადღესასწაულო მილოცვები.**

„ახალი კლუბის" სიმებიანი ორკესტრი ბ. **პრესმანის** ლოტბარობით. ქართული ხორო ბ. **მ. კავსაძის** ლოტბარობით.

ადგილების ფასი: ლოჟები: ლიტერისა ბელ-ეტაჟის 10 მ., ქანდარისა 5 მ., ბენუარისა 8 მ., ბელ-ეტაჟისა პირდაპირ 7 მ., გვერდებისა 5 მ. **პარტერი:** 1 რიგი 4 მ., 2 რ. 3 მ., 3 და 4 რ. 2 მ. 50 კ., 5 და 6 რ. 2 მ., 7, 8 და 9 რ. 1 მ. 50 კ., 10, 11 და 12 რ. 1 მ. 20 კ., 13, 14, 15, 16 და 17 რ. 1 მან. **ქანდარა** პირდაპირ: 1 რ. 50 კ., 2, 3 და 4 რ. 40 კ., 5, 6 და 7 რ. 35 კ., 8 რ. 30 კ. **გვერდები:** 1 რ. 35 კ., 2 და 3 რ. 25 კ. **დასაწყ. დილის 12 ს.**

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქ-ნ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ბ-ნთ ვ. აბაშიძისა და ვ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილ. წარმ. იქნება: მე-3 მოქმ. სუნდუკიანცის კომედიიდან:

I)

## პ ე პ ო.

II) მეოთხე მოქმედება დ. ერისთავის დრამიდან:

## ს ა მ შ ო ბ ლ ო.

III) მეორე მოქმედება კომედიიდან **პარიზელი ბიჭი.**

ადგილების ფასი: **ლოჟები:** ლიტერისა ბელ-ეტაჟი 20 მ., ბენუარისა 15 მ., ბელ-ეტაჟი პირდაპირ 12 მ., გვერდ. 10 მ., ქანდარა 6 მ. **პარტერი:** 1 რ. 7 მ., 2 რ. 5 მ., 3 და 4 რ. 4 მ., 5, 6, 7 და 8 რ. 3 მ., 9, 10 და 11 რ. 2 მ. და 50 კ., 12, 13 და 14 რ. 2 მ., 15, 16 და 17 რ. 1 მ. 50 კ. **ქანდარა** პირდაპირ 1 რ. 1 მ., 2, 3, 4 და რ. 60 კ., 6, 7 და 8 რ. 50 კ. **გვერდისა:** 1 რ. 80 კ., 2, 3 რ. 40 კ. **დასაწყ. საღამოს სწორედ 8 ს.**

1033 ადმინისტრ. დრამატ. საზოგ.

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელიაევი.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოცვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევა**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**გორახოვა**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ასპახოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდნევი.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ი. ზ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ხხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სხეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალანტაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ემ. გაღ. ოსიპიანი.** ქალური სნეულ ორშ., ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ბოდნევი**—თვალ. ყქ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

## ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორ**განოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სადგოტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი**

## გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვ. სებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1511

## ექიმი ს. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

## ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ე ქ ი მ ი**

## ი. ზ. გძელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

**ქ. გ ო რ შ ი**

## ექიმი გ. დ. წინამძღვრიშვილი

**(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1571


# სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერბ. სააგენტო).

**18 იანვრის სხდომა.**

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს.

მინისტრთა ლოჟაში ზის ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ნოვიცკი.

განსახილველია სათათბიროს პროექტის მერვე მუხლი; ამ მუხლის ძალით მაგარ სასმელთა სახაზინო და კერძო სავაჭროების გახსნა შეიძლება იმ მიწებზე, რომელნიც ექვემდებარებიან თვითმმართველობის ორგანოებს, ამასთანავე ისეთ ადგილებში უნდა დაარსდეს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 500-ზე ნაკლები არ არის. საბჭოს კომისიამ ეს მუხლი უარჰყო; უმცირესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მუხლის დედა-აზრი დაიცვან და მხოლოდ, სხვა და სხვა რედაქციით, სხვა და სხვა შესწორებანი შეიტანეს გურკომ, გრ. ტოლმა და ბარონ მელლერ—ზაკომელსკიმ.

დაიწყო საერთო კამათი მერვე მუხლზე.

**მომხსენებელი ზინოვიევი** მესამე. კომისიის უმრავლესობის აზრით მერვე მუხლი ეწინააღმდეგება პროექტის მიერ დასახულ მიზანს; უფლებრივის მხრივ არ არის ეს მუხლი სწორე: იგი ჰზღუდავს მცხოვრებთა ერთ ნაწილის საკუთრების უფლებას მეორე ნაწილის სასარგებლოდ და, გარდა ამისა, იგი სახელმწიფს უფლებასაც ჰბორკავს, როგორც მესაკუთრისას. ამგვარ მუხლს არ იცნობს არც ერთი კულტუროსანი სახელმწიფო. თუმცა კანონებში ისეთი შემთხვევები არის, როცა კერძო საკუთრების უფლება იზღუდება, მაგრამ ეს ხდება სახელმწიფოს ინტერესების გულისთვის.

**მელლერ-ზაკომელსკი** თვის შესწორებას იცავს.

მინისტრის ამხანაგი **ნოვიცკი** წინააღმდეგია სათათბიროს პროექტის მერვე მუხლისა.

**გურკო.** გუშინდელის დადგენილებით საბჭომ მხოლოდ აღადგინა მონოპოლიის წინა მდგომარეობა; საჭიროა ბოლომდე მივიდეთ და დავადგინოთ, რომ ზოგიერთ ადგილებში არყით ვაჭრობა აღკრძალული იყოს, მაგრამ რად უნდა შეიზღუდოს ლუდისა და ღვინის ვაჭრობა. მოლაპარაკე იცავს თვის შესწორებას.

**გრ. ვიტე.** მაგარ სასმელებით ვაჭრობის საქმე უნდა ჩამოერთვას იმათ, ვინც განსაკუთრებით შემოსავლით არის დაინტერესებული. ეს საქმე ფინანსთა სამინისტროს ხელშია; იგი ხარჯთ-აღრიცხვის ავ-კარგიანობით არის დაინტერესებული და, რასაკვირველია, მას საყვედური არ ეთქმის, თუ იგი ეცდება არყის ვაჭრობის საშუალებით გაადიდოს შემოსავალი. კანონ-პროექტს მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ დაცული იქნება მერვე მუხლი, ან მისი მსგავსი. დანარჩენი მუხლები მხოლოდ თვალის ასახვევადა და ბავშვების გულის მოსაფხანად არის მოგონილი.

**კონი** სათათბიროს მუხლს იცავს.

დრუცკო-სოკოლინსკიმ, კარპოვმა, სუხომლინოვმა, ბარონ-ფონ-პილხაუმ, ნეიდგარტმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ლოთობასთან ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ერობამაც, რომელმაც თვისი ნაყოფიერი მუშაობის 50 წლის თავი იდღესასწაულა.

**მომხსენებელმა** განაცხადა, რომ კომისიას არაფერი აქვს საწინააღმდეგო მელლერ-ზაკომელსკის შესწორებისა, რადგანაც საეროზო დაწესებულებანი საკმაოდ. სანდო და სასარგებლო არიან ამ საქმეში.

**გურკო** ამის წინააღმდეგია. ერობას რომ დავაკისროთ მაგარ სასმელებით ვაჭრობის ხელმძღვანელობა, ერობის მოქმედებაზე ცუდ გავლენას მოახდენსო.

**კონიც** წინააღმდეგია მელლერ-ზაკომელსკის შესწორებისა.

საბჭომ 89 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 33-სა უარჰყო კონის წინადადება—მიიღონ მერვე მუხლის პირველი ნაწილი სათათბიროს რედაქციით. მერვე მუხლის მეორე ნაწილზე იმართება კამათი. ამ ნაწილით ბალტიის მხრის გუბერნიების სასოფლო საზოგადოებათ უფლება ენიჭებათ დაადგინონ აკრძალვის განაჩენები.

**კრამერი** იცავს სათათბიროს რედაქციას.

**ბარონ პილარ-ფონ-პილხაუ** კრამერის წინააღმდეგ ლაპარაკობს და საჭიროდ არ მიაჩნია ბალტიის გუბერნიების სასოფლო საზოგადოებათ აკრძალვითი განაჩენების დადგენის უფლება მიენიჭოთ: იმ მხარეს ლოთობა არც ისეა გაძლიერებული, რომ ასეთ უკიდურეს ღონისძიებას მივმართოთო.

ხელმეორედილაპარაკა **კრამერმა.** იგი ამტკიცებს, რომ ბალტიის მხარეში, განსაკუთრებით რიგაში, ლოთობა ძალიან გავრცელებულია და ამ უბედურებასთან ენერგიული ბრძოლა საჭიროა.

**გრ. ვიტე,** რადგანაც მე მიწოდებენ მონოპოლიის შემქნელს, მოვალედ ვრაცხ თავს რამდენიმე განმარტება მივცე ამ საკითხის გამო, ნაციონალისტი არა ვარ და ამიტომ რუსეთის იმპერიის არა რუსთ ისევე ვექცევი, როგორც რუსეთის მოქალაქეთ; კანონპროექტის ამ მუხლის თაობაზე ერთი გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში. როდესაც რუსეთში მონოპოლია უნდა შემოღებულიყო, აღიძრა საკითხი (არა რუსთა?) გლეხების ფულით დაჯილდოვებისა იმ დანაკლისის ასანაზღაურებლად, რომელსაც ისინი მონოპოლიის შემოღებით განიცდიდნენ. ეს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. განაპირა ადგილებში საქმის გამოსარკვევად გავგზავნე განსვენებული პროფესორი ციტოვიჩი. ციტოვიჩმა ბალტიის მხრის თაობაზე ის აზრი გამოსთქვა, რომ იქ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული პირობები რუსეთის ცხოვრებასთან შედარებით, ამიტომ ბალტიის მხარეში მონოპოლიის შემოღება იმ სახითვე უნდა მოხდეს, როგორც მთლად რუსეთში. ეს საკითხი განიხილა სახელმწიფო საბჭომ, შემდეგ წარუდგინა მეფეს. საკითხი პოლიტიკურის მოსაზრებით გადასწყდა. ბალტიის მხრით მემამულეებს გადაეცა განსაზღვრული თანხა, იმ დროს, როცა რუსეთის მემამულეებმა არაფერი მიიღეს.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია ბალტიის მხრის გლეხთა საზოგადოებაზე. თუ გავიხსენებთ, რომ რევოლიუციის დროს ბალტიის მხრის გლეხებმა მრავალი შეწუხებანი და უსიამოვნებანი მოგვაყენეს მონოპოლიის შემოღებისათვის, პოლიტიკურის მოსაზრებით შეიძლება არ მივანიჭოთ ამ გუბერნიის გლეხებს აკრძალვითი უფლებანი.

**თავმჯდომარე** აჩერებს მოლაპარაკეს და სთხოვს პოლიტიკურს საკითხებს ნუ შეეხება, განსაზღვრულ ფარგლებში ილაპარაკოს და ასეთ პირიღია ბრალს ნუ დასდებს.

**ვიტე.** საერთო მოსაზრებით არა გვაქვს არავითარი საბუთი ბალტიის მხრის გლეხებს წავართვათ ის უფლებანი, რომელიც რუსეთის გლეხებს აქვთ მინიჭებული.

**სტიშინსკი** კრამერის წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

შემდეგი სხდომა 22 იანვრისთვის არის დანიშნული.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კრების** მოსაწვევად ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ თავის მხრით 200 მან. გადასდო.

✦ **სამეურნეო ჟურნალი.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს, გამოსცეს საკუთარი სამეურნეო ჟურნალი. ამ საკითხს საზოგადოების საბჭო საბოლოოდ 22 იანვრის კრებაზე გადასწყვეტს.

✦ **ხორცის ნიხრის დარღვევისათვის** 19 და 20 იანვარს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა ე. ლომიძემ სალდათის ბაზარზე ყასბებს 35 ოქმი შეუდგინა.

✦ **ქალაქის ახალი სასალახოს** ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად დღეისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებული კრება.

✦ **ხორცის სიმცირე.** 18 იანვრიდან ტფილისში ხორცის შოვნა მეტად ძნელი გახდა. ამის მიზეზი შემდეგია: ნიხრით გირვანქა ხორცი ამჟამად 11 კ ღირს, ე. ი. ფუთი 4 მ. 40 კ., მსხვილმა ყასბებმა კი უცნაურს ხერხს მიმართეს: წვრილ ყასბებს ფუთს ხორც ექვს მანეთად უფასებენ. ამის გამო წვრილი ყასბები იძულებული გახდნენ, ხორცი აღარ იყიდოს გასასყიდად. ამ გარემოებამ მცხოვრებნი მეტად უხერხურ მდგომარეობაში ჩაჰყარა. ხორცის ყიდვა ახლა შეიძლება მხოლოდ სალდათის ბაზარს მსხვილ ყასბებთან, რომელნიც ხორცს იმ ფასად ჰყიდიან, როგორც სურთ. ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამაც სწორედ სალდათის ბაზარს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ყოველ დღე აუარებელ ოქმს უდგენს ყასბებს ხორცის ძვირად გაყიდვისათვის.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურ. საზოგადოების** საბჭოს კრება 22 იანვრისთვის არის დანიშნული. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ქართლის აგრონომის მომავალ სამუშაოს პროგრამას.

✦ **მეთამბაქოეთა კრება.** წელს პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის მეთამბაქოეთა კრება, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს კავკასიის ყველა გუბერნიის ორ-ორი წარმომადგენელი.

✦ **ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიის** კრება 22 იანვრისთვის არის დანიშნული.

## ბათომი

✦ დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დააპატიმრეს სომეხი ვაჭარი ბაღდასარიანცი და ორი ნოქარი; მათი დაპატიმრების მიზეზი ის არის, რომ ფქვილის ტომრებში, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან მიიღეს, აღმოაჩინეს იარაღი.

## ბ ა ქ ო

✦ დეპეშათა სააგენტო იტყობინება: გაიფიცნენ ქალაქის წყლისმზიდველნი. ამის მიზეზი არის დამლოდაუკვრელ ვედრების კონფისკაცია. ვედრო წყალი ქალაქში 10 კაპეიკი ღირს.

# ვ. გელოვანის და ევ. გეგეჭკორის საქმე

(სამედიატორო სასამართლოს განაჩენი)

ჩვენ უკვე გადმოთარგმნილი გვქონდა გაზეთ „დენ"-იდან მოკლე შინაარსი სამედიატორო სასამართლოს განაჩენისა. ახლა უფრო ვრცლად გავაცნობთ მკითხველებს სასამართლოს დადგენილებას.

1912 წლის 8 ნოემბერს გაზეთ „დენში" დაიბეჭდა საუბარი ე. გეგეჭკორთან, რომელშიაც მესამე სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ამტკიცებდა, რომ იგი დამარცხდა ქუთაისის გუბერნიის არჩევნებზე იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ შეერთდენ ადმინისტრაცია და ს.-ფედერალისტების პარტია. ამას მოჰყვა ვ. გელოვანის პასუხი, შემდეგ გეგეჭკორის წერილი. საქმე შეიქნა სამედიატორო სასამართლოს მოწვევა. სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ მიმართა ასეთის წინადადებით შრომის ჯგუფს, და ორივე მხარემ აირჩია მოსამართლეები.

სასამართლოს პირველ სხდომაზევე გადაწყდა, რომ საქმეში მოპასუხე—

# მუხურის ციხე

**(ისტორიული ამბავი)**

1782 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I, რომელსაც პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია.[1] ტახტის მახლობელ მემკვიდრედ გახდა ბატონიშვილი დავითი, სოლომონ I-ის უმცროსი ძმის არჩილის შვილი. დავით არჩილის-ძე დაიბადა 1773 წ., დედა მისი იყო მეფე ირაკლი II-ის ქალი. ამ დროს დავითი მეათე წელში იდგა, ქართლ-კახეთში იყო და მეფე ირაკლი II-ის სასახლეში იზრდებოდა. მეფის კარისკაცებმა თავს ვერ იდვეს იმ არეულ დროს, როგორიც მაშინ იმერეთში სუფევდა, მცირე წლოვან დავითის ტახტზე აყვანა, ამისათვის, დროებით, მინამ დავითი გაიზრდებოდა, სამეფო ტახტი ჩაჰბარდა დავით გიორგის ძეს სოლომონ I-ის ბიძის შვილს.

დიდებისა მოყვარე დავით გიორგის ძემ სამუდამოდ მოინდომა ტახტის შენარჩუნება, უნდოდა იმერეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად თავისი შთამომავლობა გაეხადა. ამისათვის ფიქრობდა, ტახტის კანონიერი მემკვიდრე დავით არჩილის ძე იმერეთში აღარ შემოეშვა; თანაც იმედი ჰქონდა ოსმალეთის მთავრობისა, რომელმაც შემწეობა აღუთქვა. დავით გიორგის ძის ოცნებები მტკიცე და შეურყეველი არ გამოდგა.

1790 წელს ახალგაზრდა დავით არჩილის ძემ თავისი პაპა ირაკლი II შემწეობით ტახტი წაართვა დავით გიორგის ძეს და თითონ გამეფდა სოლომონ II სახელით. დავითი ახალციხეს გაიქცა და იქიდან სცდილობდა დაქირავებული ლეკების შემწეობით სოლომონ II-ის იმერეთიდან განდევნას. თანაც ოსმალეთის მთავრობას შემწეობას სთხოვდა, სამაგიეროდ ჰპირდებოდა იმერეთის ყველა საუკეთესო ციხე-კოშკების ჩუქების და ეკლესიების მეჩეთებად გადაკეთებას. დაიწყო უბრალო სისხლის ღვრა. ოსმალები ოთხჯერ შემოვიდნენ იმერეთში და ოთხჯერვე იმერეთის ტახტი ერთის ხელიდან მეორეში გადადიოდა. ბოლოს, სოლომონმა სძლია დავითს, განდევნა იმერეთიდან, იმერეთი კი აოხრებული და გადამწვარი დარჩა. არა ნაკლები 17,000 კაცისა წაიყვანეს ტყვედ ოსმალებმა.[2]. როდესაც დავითი უკანასკნელად დამარცხდა, სოლომონმა ხელთ იგდო დავითის ცოლი დედოფალი ანა და შვილი კონსტანტინე. იმედ დაკარგულმა დავითმა სოლომონისა და ხალხის წინაშე ცოდვები მოინანია და ჯვარს ემთხვია, სოლომონმაც ყველაფერი აპატია, მხოლოდ ძევლად დედოფალი ანა და ბატონიშვილი კონსტანტინე დაიტოვა. დავით გიორგის ძე გარდაიცვალა 1792 წელს. სოლომონ II-ეს შეეშინდა, ბატონიშვილმა კონსტანტინემ ტახტის ძიება არ დაიწყოს და მტრად არ გადამეკიდოსო, ამისათვის ბრძანა იგი მუხურის ციხეში დაემწყვდიათ, დედოფალ ანას კი მოკვლა დაუპირა.[3]) დედოფალმა გაქცევა მოასწრო და თავს უშველა. დიდხანს იმალებოდა მთებსა და ტყეში, ბოლოს, ღონე მიხდილმა, ავადმყოფმა და ყოველივე მხრივ იმედ დაკარგულმა, გადასწყვიტა რუსის მთავრობისათვის შეეფარებინა თავი. ამ მიზნით წერილი გაუგზავნა სურამში მდგომ გრენადერის პოლკის როტის უფროსს, ემუდარებოდა მას, ეხსნა იგი გაჭირვებისაგან და მიეღო თავის მფარველობის ქვეშ.

როტის უფროსმა თავის თავზე ვერ იდო დედოფლის ხსნა და ყველაფერი პოლკის უფროს გენერალ ტუჩკოს აცნობა. გენერალი ტუჩკოვი ამ ამბის გამო სურამს ჩავიდა, სადაც დედოფალი ანას მსახური დაჰხვდა, რომელმაც ის ადგილი უჩვენა, სად იმყოფებოდა დედოფალი.

„ერთ ბნელ ღამეს, სწერს გენერ. ტუჩკოვი, ჯარს უბძანე განგებ ალიაქოთი მოეხდინა, თითქოს თავს ლეკები დაგვესხა, გრენადერებმა დაფდაფის დაკვრით ტყეს მიაშურეს, ეს იყო ნიშანი დედოფლისათვის, რომელმაც ხმაურობა გაიგონა და ჩვენ მოგვაშურა". ტუჩკოვმა დედოფალი ანა უფროსებთან გაისტუმრა, თანაც სწერდა, ლეკების თავს დაცემის დროს, დედოფალი ტყეში ვიპოვე და სიკვდილისაგან დახსნა მთხოვა; რაც მე ავასრულეო.

1802 წელს უმაღლესი განკარგულებით დედოფალი ანა პეტერბურგს გაგზავნეს. იქ დედოფალმა იმპერატორ ალექსანდრეს თავი შეაბრალა და სთხოვა, რამენაირად ერთად-ერთი მისი შვილი კონსტანტინე გაენთავისუფლებიათ, რომელიც სოლომონს მუხურის ციხეში ყავდა დატყვევებული. ალექსანდრე I-მა შეიწყნარა დედოფლის თხოვნა და უბრძანა კოლ. სოვეტნიკ სოკოლოვს, იმერეთს გამგზავრებულიყო და სოლომონ მეფისთვის გადაეცა უმაღლესი სურვილი ბატონიშვილი კონსტანტინეს განთავისუფლების შესახებ.[4])

სოლომონმა სოკოლოვს თავდაპირველად ყურადღებაც არ მიაქცია, ბოლოს კი კონსტანტინეს განთავისუფლების სამაგიეროდ ისეთი პირობები მოსთხოვა, რომლის შესრულება ყოვლად შეუძლებელი იყო. სხვათა შორის, სთხოვდა რუსის ჯარის დახმარებას სამეგრელოს მთავრის დადიანის წინააღმდეგ. სოლომონის მრჩეველი ამ დროს იყო სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, რომელსაც უნდოდა სამეგრელოს ზოგიერთი ადგილები ჩაეგდო ხელში, თუ კი დადიანი დამარცხდებოდა. მეორე მხრით, სოლომონზე მოქმედებდა მისი ბებია, ქართლ-კახეთის ქვრივი დედოფალი დარია (მეუღლე მეფე ირაკლი მეორისა). უკანასკნელი სოლომონს არწმუნებდა, რომ რუსებს იმისათვის ჰსურთ კონსტანტინეს განთავისუფლება, რომ იმერეთის ტახტზე შენს მაგიერ ის უნდა გაამეფონო.[5]) ამასვე აგონებდნენ სოლომონ მეფეს ბატონიშვილნი იულონი, ფარნაოზი და ალექსანდრე.

ასე და ამნაირად სოლომონს არ უნდოდა განეთავისუფლებინა კონსტანტინე მუხურის ციხიდან, რადგანაც იმპერატორი ალექსანდრე

1) აკადემიკი ბროსსეს ცნობით სოლომონ I 1783 წ. ივნისში კიდევ ცოცხალი იყო. გენერალ პოტტოს მოყავს ცნობა ვინმე იაკობ რეინეგგსისა და ამბობს, სოლომონ I გარდაიცვალა 23 აპრილს 1784 წ. Потто т. I. с. 103.

2) Кавказ. война в очеркахъ т. стр. 495

3) დედოფალი ანნა იყო ქალი თავ. მამუკა ორბელიანის, სოლომონ მეორეს კი ყავდა ცოლად კაცია დადიანის ქალი, და გრიგოლ დადიანისა. გრიგოლ დადიანის ცოლი ნინო იყო ქალი გიორგი XII ისა.

4) ალექსანდრე ევგრის ძე სოკოლოვი კარგა ხანს დარჩა იმერეთში, ქართლ-კახეთში და დაწვრილებით ეცნობოდა ჩვენ იმ დროის ცხოვრებას. დასწერა წიგნი: „Путешествіе мое въ Имеретію, съ линіи Кавказской, мое тамъ у Царя пребываніе, съ нимъ сношеніе и обратное оттуда путешествіе въ Грузію".

5) დედოფალი მარიამი სოლომონს ურჩევდა, გ. დადიანს ომი გამოუცხადეო. გრიგოლ დადიანი მარიამს ეჯავრებოდა, მისთვის რომ მას ჰყავდა ცოლად მისი გერის მეფე გიორგი XII-ის ქალი. მარიამი გიორგი მე-XII ბრალსა სდებდა, ჩემს შვილებს ირაკლი მეფის შემდეგ ტახტი წაართვაო. Потто т. I, ст. 105.

მონაწილენი არიან არა პირადად გელოვანი და გეგეჭკორი, არამედ ერთის მხრით—სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და კავკასიის სოციალ-დემოკრატია და მეორეს მხრით შრომის ჯგუფი და ქართველ სოც.-ფედერალისტების პარტია. ამასთანავე გელოვანმა განაცხადა, რომ იგი თავს დაანებებს დეპუტატობას, თუ სასამართლოს განაჩენი მის წინააღმდეგ იქნება. სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარუდგინა სასამართლოს თავისი ბრალდება. ამის წინააღმდეგ ს.-ფედერალისტების პარტიის წარმომადგენლებმაც წარმოადგინეს თავისი ბრალდება.

სოც. დემოკრატიული ფრაქციის რწმუნებულებმა წარუდგინეს სასამართლოს შემდეგი კითხვები:

1) ქალაქ ქუთაისის არჩევნების დროს, როცა დიდის უმრავლესობით გაიმარჯვა ს.-დემოკრატების სიამ და ეს გამოაშკარავდა, ს.-ფედერალისტებმა ვარლამ ჩილაძის პირით საჩივარი შეიტანეს, რომ ს.-დემოკრატიის კანდიდატს ე. გეგეჭკორს არ ჰქონდა ცენზი, და ამის შედეგი ის იყო, რომ გეგეჭკორი გამორიცხეს და არჩევნები გააუქმეს.—მეორე არჩევნების დროს, როცა ისევ ს.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს დიდის უმრავლესობით, საჩივარი შეიტანა იროდე ტყეშელაშვილმა, ს.-ფედერალისტების ცნობილმა აგენტმა, რის გამო ეს არჩევნებიც გააუქმა ადმინისტრაციამ და ქუთაისი დარჩა უამომრჩევლოდ.

2) ნაოლალევის საარჩევნო ნაწილში თავად-აზნაურობის დეპუტატმა ირაკლი თოფურიძემ, რომელიც შემდეგ ს.-ფედერალისტებმა თავის ამომრჩევლად აირჩიეს, ისარგებლა წვრილი მემამულეების კრების თავმჯდომარის უფლებით და უკანონოდ გაჰყო კრება ორ საარჩევნო კურიად.—თავ. ჩიჩუამ, რომელიც გელოვანის სიტყვებით, მისი ერთგული მომხრეა, და სხვებმა დეპეშით სთხოვეს გუბერნატორს, რომ კრება ნაოლალევის ნაცვლად, სადაც წინად ხდებოდა კრებები, მომხდარიყო ბანძაში, რათა ამით ხელი შეეშალათ გეგეჭკორისა და მისი მომხრეების არჩევისათვის; ამ თხოვნის ძალით ადმინისტრაციამ, მართლაც, გადაიტანა კრება ბანძაში.—როცა ბანძის კრებაზე კენჭის დათვლამ გამოაშკარავა ს.-დემოკრატების სრული გამარჯვება, თავ. ფალავამ სოც.-ფედერალისტების ჩაგონებით დაამტვრია საარჩევნო ყუთები, ლამპები გადმოაგდო და ამის შემდეგ ზემოხსენებულმა თოფურიძემ შესწყვიტა კრება და გამოაცხადა, რომ კრება არ შემდგარაო.

3) ფოთის არჩევნები, სადაც არჩეულ იქმნენ სოც.-დემოკრატების კანდიდატები, სრულიად უსაფუძვლოდ გააუქმა გუბერნატორმა სოც.-ფედ. ახთ. ბოკერიას და კოს. თელიას დაჟინებულის გასაჩივრების წყალობით, რის გამო ფოთიც დარჩა უამომრჩევლოდ.

4) ქუთაისის საგუბერნიო საარჩევნო კრებაზე გელოვანი არჩეულ იქმნა სათათბიროს წევრად შემდეგ პირობებში: ა) ხუთი ს.-დემოკრატი ამომრჩეველი გამორიცხულ იქმნა, ბ) გელოვანმა მიიღო 17 ხმა წინააღმდეგ 15-ისა, გ) გელოვანის მოწინააღმდეგე 15 ხმაში 12 სოციალ-დემოკრატების იყო, დ) გლეხთა კურიის 9 ხმიდან გელოვანს მიემხრო მხოლოდ ერთი.

ს.-ფედერალისტების მოქმედებისა და საგუბერნიო საარჩევნო კრების შედგენილობის მიხედვით, ჩვენ (ს.-დემ.) ვაყენებთ კითხვას: შეიძლება თუ არა დემოკრატიული პარტიის დეპუტატი არჩეული ხსენებულ პირობებში ჩაითვალოს წესიერად (მართებულად) არჩეულ წარმომადგენლად?

შრომის ჯგუფის და სოც.-ფედერალისტების პარტიის წარმომადგენლებმა წარმოუდგინეს სასამართლოს შემდეგი კითხვები:

1) არჩევნების გათავების შემდეგ გეგეჭკორმა განუცხადა ქუთაისში თავის თანამოაზრეებს, რომ იგი მოახერხებს, რათა გელოვანი არ მიიღონ შრომის ჯგუფში და ამავე დროს გაასაჩივრა სენატში არჩევნები ქუთაისის და ფოთის ამომრჩევლების უფლებათა აღსადგენად, წავიდა პეტერბურგში და იქ განაგრძო საარჩევნო ბრძოლა სატახტო ქალაქის გაზეთებში.

2) გაზეთებს „დენსა“ და „ლუჩში“ გეგეჭკორმა დასწერა მძიმე ბრალდება ს.-ფედერალისტების წინააღმდეგ, მაგალ., ვითომც გელოვანი მხოლოდ მიტომ აირჩიეს დეპუტატად, რომ ადმინისტრაცია აშკარად მფარველობდა ქუთაისის გუბერნიაში ს. ფედერალისტებს.

3) შეუძლებელია გეგეჭკორს არ სცოდნოდა, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს: ა) როცა გ. ზდანოვიჩი საერთო სიიდან გამორიცხა ადმინისტრაციამ, რომელშიაც შეიტანა ქალაქის საბჭომ, ბ) როცა მეფის მოადგილის ცირკულიარებისა და წინანდელი პრაქტიკის წინააღმდეგ, ოთხი დღით წინ უკვე დანიშნულ არჩევნებამდე ადმინისტრაციამ შორაპნის მაზრის არამიწისმფლობელი ელემენტები ქუთაისს მიაწერა, რათა ამით ხელი შეეშალა ს. ფედერალისტების კანდიდატის კ. აბაშიძის არჩევისათვის, გ) როცა მთავრობამ დაჰკეტა გაზეთი „კოლხიდა“, რომელიც არ იყო ს. ფედერალისტების პარტიული ორგანო, მაგრამ მხარს უჭერდა მათ კანდიდატს და ებრძოდა ს. დემოკრატებს, დ) როცა ადმინისტრაციამ გადაასახლა ს. ფ. პარტიის წევრები და მათი მომხრეები იმისთვის, რომ ისინი იცავდნენ ს. ფედერალისტების კანდიდატს და სხვა.

4) თუ ყველაფერს ამას მივიღებთ მხედველობაში, შესაფერისია საარჩევნო ბრძოლის ნიადაგზე ისეთი პოლემიკა, როგორიცაა მაბეზღრობის, ბატონყმობის დაცვის, პროვოკატორობის, შოვინიზმის, სომხებისა და ებრაელების საწინააღმდეგო „პოგრომების“ სურვილის დაბრალება და სხ. (ქართულ პრესაში) და იმის დაწერა, რომ ვითომც ადმინისტრაცია მფარველობდა ს. ფედერალისტებს (სატახტო ქალაქის გაზეთებში)?

5) შესაფერისია კერძოდ სოციალისტებს შორის ბრძოლაში სარგებლობა ისეთი პირების აშკარა ცრუ ჩვენებით, რომელნიც ჩირქმოცხებულნი არიან და რომელნიც არ არიან ღირსნი საზოგადოებრივ ნდობისა, რაიც თვით მოპირდაპირეებმა ცხადად იციან?

6) მართებულია თუ არა ჩხენკელის გამოსვლა სათათბიროში ისეთის განცხადებით, რომელიც უკვე გადაეცა განსახილველად სამედიატორო სასამართლოს, და რომელიც წარმოთქმული იყო მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ჩირქი მოეცხო ს. ფედერალისტების წარმომადგენელისთვის სათათბიროში?

7) შესაფერია ს. დემოკრატების გამოსვლა პარტიულ ორგანოში („ნაშა ზარია“ № 1, 1913) და აშკარა ცრუ ფაქტების დაბეჭდვა იმის შემდეგ, რაც შესდგა სამედ. სასამართლო სწორედ ამ ფაქტების და ცრუ ბრალდების გასარჩევად?

8) ყველა გამორკვეულ ფაქტის მიხედვით, რომელსაც ადგილი ჰქონდა არჩევნების დროს და რომელიც თავის დროზე იცოდა გეგეჭკორმა, ჰქონდა თუ არა მას უფლება გაეცხადებინა პრესაში, რომ ს. ფ-ბი მოქმედობდნენ სრულიად შეკავშირებულნი და შეერთებულნი ადმინისტრაციასთან?

9) მართებულია თუ არა საჩივარი თ. ჩიჩუას არჩევის შესახებ, რომ მას ცენზი არ ჰქონდა და იმის თხოვნა, რომ ადმინისტრაციამ შეამციროს რიცხვი იმ პირებისა, რომლებიც შეცდომით შეიტანა ადმინისტრაციამ ამომრჩევლების სიაში?

სასამართლომ მოუსმინა მხარეებს, მოწმეებს, გაიცნო სხვადასხვა საბუთები, და შესწავლილი მასალის მიხედვით ასეთი პასუხები გასცა მხარეების კითხვებს, რომლების რედაქცია შეასწორა და რომლებიც დაალაგა დამოუკიდებლად.

**1. კითხვა:** დამტკიცებულია, თუ არა, რომ ჩილაძე ეკუთვნოდა ს. ფედერალისტების პარტიას. **პასუხი:** არა, არაა დამტკიცებული (ერთხმად).

**2. კითხვა:** თუ დამტკიცებული არაა ჩილაძის ს. ფედერალისტების პარტიის წევრობა, არჩევნების დროს ხომ არ ყოფილა იგი იმდენად დაახლოვებული პარტიასთან, რომ უკანასკნელმა პასუხი აგოს ჩილაძის მოქმედებისათვის? **პასუხი:** არა, არ ყოფილა (სამი ხმა ორის წინააღმდეგ).

**3. კითხვა:** უნდა ეთქვას საყვედური თუ არა, ს. ფედერალისტების პარტიას, რომ მისი მომხრეები გაზ. „იმერეთში“ (1914 წ. 17 ოქტ.) დაბეჭდილ წერილში გარკვევით არ გამოესაზღვრნენ ჩილაძის მოქმედებას. **პასუხი:** უნდა ეთქვას (ერთხმად)

**4. კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ იროდე ტყეშელაშვილი იყო აგენტი ს. ფედერალისტების პარტიისა. **პასუხი:** არა, არაა დამტკიცებული (ერთხმად).

**5. კითხვა:** პასუხის მგებელია თუ არა, ს. ფედერალისტების პარტია იმისთვის, რომ ჩიჩუამ დეპეშით სთხოვა გუბერნატორს კრების ბანძაში გადატანა. **პასუხი:** სასამართლომ არ განიხილა ეს, რადგან თვითონ გეგეჭკორმა უკან წაიღო ბრალდების ეს მუხლი (ერთხმად).

**6. კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ ნაოლალევის არჩევნები ჩაიშალა ს. ფედერალისტების წყალობით ან მათის ჩაგონებით. **პასუხი:** არაა დამტკიცებული (ერთხმად).

**7 კითხვა:** პასუხის მგებელია თუ არა: 1. ფედ. პარტია იმისთვის, რომ მისმა მომხრეებმა ხმები მისცეს სენაკის მაზრაში თოფურიძეს იმის შემდეგ, რაც მან წინასწარი კრება ნაოლალევში გაჰყო ორად. **პასუხი:** პასუხისმგებელია (სამი ხმა ორის წინააღმდეგ).

8. დამტკიცებულია თუ არა, ბოკერიას და თელიას ს. ფედ. პარტიის წევრობა. **პასუხი:** არაა დამტკიცებული (ერთხმად).

9) თუ ეს არაა დამტკიცებული, იმდენად დაახლოვებულნი ხომ არ იყვნენ პარტიასთან არჩევნების დროს, რომ ს. ფედერალისტებმა პასუხი აგონ მათი მოქმედებისთვის იმდენად, რამდენად არ გამოესაზღვრნენ მათ. **პასუხი:** პასუხისმგებელნი არიან (სამი ხმა ორის წინააღმდეგ).

10. **კითხვა:** პასუხისმგებელია თუ არა, ს.-დემ. პარტია ნაოლალევის არჩევნების განსაჩივრებისთვის. **პასუხი:** ვინაიდან სასამართლოს ხელთ არ ჰქონდა საჩივარის ტექსტი, ხოლო სენაკის საარჩევნო კომისიის დადგენილებით, რომელიც მას მოეპოვებოდა, არ შეეძლო დანამდვილებით საჩივარის ხასიათის გარკვევა, ამიტომ დასტოვა ეს კითხვა უპასუხოდ. ა) მაგრამ თუ მართალია გეგეჭკორის განცხადება, რომ საჩივრის შინაარსი იყო ჩიჩუას უმართებულოდ შეტანა წვრილი მიწისმფლობელების სიაში მაშინ, როდესაც იგი მსხვილი მესაკუთრეა, სასამართლო აღიარებს ასეთს საჩივარს შემცდარად ან არა მართებულად (ერთხმად), მაგრამ არა დასაძრახისად (ოთხი ხმა ერთის წინააღმდეგ). ბ) თუ საჩივრის შინაარსი იყო აღნიშვნა იმისა, რომ ჩიჩუას არ ჰქონდა საარჩევნო უფლება, რადგან მას სასამართლომ 1886 წ. ღირსება ჩამოართვა, მაშინ სასამართლო არა სცნობს ასეთს საჩივარს დასაძრახისად (ოთხი ხმა ერთის წინააღმდეგ), მაგრამ ფიქრობს, რომ უკეთესია არ აღძვრა ამგვარის საჩივრებისა (ერთხმად). გ) თუ საჩივრის შინაარსი იყო აღნიშვნა იმისა, რომ რწმუნებულების რიცხვი მომატებულია სახელმწიფო გადასახადების საერობო გადასახადებთან შეერთებით, ასეთი საჩივარი შეუფერებელია, მაგრამ მარტო იმ შემთხვევაში, თუ ამნაირი გამონგარიშება მიღებულია ორსავე საარჩევნო ნაწილში და არა მხოლოდ ერთში (ერთხმად). დ) სასამართლოს აზრით, ფოთის და ქუთაისის არჩევნების განსაჩივრება, როგორც საჩივრის ხასიათით, ისე დროის ვითარებით უფრო მეტის გაკიცხვის ღირსია, ვიდრე საჩივრის აღძვრა ——— მუხლში ნაჩვენებ პირობებში (ერთხმად).

11) **კითხვა:** შესაფერისია თუ არა, საარჩევნო ბრძოლაში საპოლემიკო საშუალება, როგორიცაა დაბეზღების, ბატონყმობის დაცვის, პროვოკატორობის, შოვინიზმის, სომხების და ებრაელების დარბევის სურვილის და სხ. დაბრალება, რომელსაც აპრალებდნენ ს.-დე.-ები ქართულ ს. დემ. პრესაში. **პასუხი:** სასამართლომ განიხილა თარგმანში ქართული გაზეთებიდან და ნახა, რომ, როგორც სოც. დემოკრატიულს, ისე ს. ფედერალისტურს წერილებში პოლემიკის საერთო კილო (ტონი) და ხასიათი სრულიად შეუფერებელია და როგორც ერთნი, ისე მეორენი ცილსა სწამებდნენ როგორც მოწინააღმდეგე პარტიას საერთოდ, ისე კერძო წარმომადგენლებს. ამასთანავე რამდენად სასამართლო გაეცნო წარმოდგენილს ადგილებს, ხსენებულ საპოლემიკო საშუალებას უფრო ხშირად მიმართავდნენ ს. დემოკრატები, ვიდრე ს. ფედერალისტები.

სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია გაჰკიცხოს ასეთი საარჩევნო ბრძოლა (ერთხმად).

დანარჩენ მუხლებს მოვიყვანთ შემოკლებით: ქონდა თუ არა გელოვანს უფლება ეთქვა, რომ ს.-დემოკრატებმა ცილი დასწამეს კ. აბაშიძეს და სხ.—ეს კითხვა სასამართლომ სამი ხმით ორის წინააღმდეგ უყურადღებოდ დასტოვა, როგორც არა მნიშვნელოვანი.—შესაფერისია თუ არა, სოციალისტებმა მიმართონ არა სანდო პირების ჩვენებას? სასამართლოს პასუხი: არაა დამტკიცებული, რომ ხსენებული პირები არ იყვნენ აშკარა არა სანდონი (ერთხმად).—ჩხენკელის გამოსვლის შესახებ სასამართლომ ერთხმად აღიარა, რომ მას არ ჰქონდა განზრახვა ს.-ფედერალისტების წარმომადგენელის დამცირებისა.—„ნაშა ზარიას“ წერილების შესახებ სასამართლო ჰფიქრობს (ერთხმად), რომ ამ ორგანოს არავითარი საორგანიზაციო კავშირი არა აქვს სათათბიროს სოც.-დემოკრატ. ფრაქციასა და კავკასიელ სოც.-დემოკრატებთან.—ჰქონდა თუ არა უფლება გეგეჭკორს ეთქვა, რომ ს.-ფედერალისტები მოქმედობდნენ სრულიად შეერთებულნი და შეკავშეკავშირებულნი ადმინისტრაციასთან? ამ კითხვას სასამართლომ ერთხმად უპასუხა: არ ჰქონდა.

სასამართლოს საერთო დასკვნა ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან.

სასამართლოს განაჩენს შრომის ჯგუფის არჩეულმა მოსამართლემ ვოდლოვოზოვმა განსაკუთრებული აზრი დაურთო ხუთი მუხლის შესახებ, ბერენშტამმა (შრ. ჯ.) ოთხი მუხლის, პოტრესოვმა (ს.-დემ.) ერთის და კროხმალმა (ს.-დემ.) ერთის მუხლის შესახებ.

---

დიდი ნაწყენი დარჩა. 1803 წ. 23 აპრილს თავ. ციციშვილმა მიიღო უმაღლესი ბრძანება, რათა ეხმარა ყოველი ღონის ძიება და ბატონიშვილი გაენთავისუფლებინა მუხურის ციხიდან. თანახმად ასეთი ბრძანებისა თავ. ციციშვილმა თავისი კანცელარიის მართველი ბრონევსკი გაგზავნა სოლომონთან იმერეთს და მოსთხოვა კონსტანტინეს განთავისუფლება და აგრეთვე ბატონიშვილების იულონისა და ფარნაოზის გაცემაც, რომლებიც იმერეთში იმალებოდნენ და იქიდან ქართლ-კახეთსა და ოსეთს აშფოთებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ციციშვილი მუქარას უთვლიდა სოლომონ მეფეს—„დიდი განსაცდელი მოელის შენს სამეფოსო“.

სოლომონმა ბრონევსკის უთხრა: „ჩემთვის უფრო ადვილია სამეფო დავსთმო, მინემ კონსტანტინეს განთავისუფლებაო“. ბოლოს, დიდი ფიქრის შემდეგ მაინც დასთანხმდა სოლომონი, მხოლოდ კონსტანტინე განთავისუფლების შემდეგ პეტერბურგს უნდა გაეგზავნათ.

1804 წ. სოლომონმა კონსტანტინე გაანთავისუფლა, რომელიც შემდეგ რუსეთში იქმნა გაგზავნილი [6]). ამ დროს გაიცნეს რუსებმა მუხურის ციხე. 1804—1810 წლებში, როდესაც იმერეთში არეულობა სუფევდა, არა ერთი რუსის სალდათი უმსხვერპლია ამ ციხეს. როდესაც გენერალი სიმონოვიჩი მეფე სოლომონს სდევნიდა იმერეთიდან, ყოველ დღე განკარგულებას ახდენდა—გზები შეკარით—სოლომონი მუხურაში არ ავიდეს და იქ არ გამაგრდესო. გენერალმა სიმონოვიჩმა პოლკოვნიკი ლისანევიჩი გაგზავნა მუხურის ციხის ასაღებად. ბევრი ჯარი შეალია მან ამ ციხეს, მაგრამ ვერა გააწყო რა, ბოლოს მეციხოვნენი თავის ნებით დამორჩილდნენ ლისანევიჩს.[7]) ლისანევიჩმა ციხის დასაცველად ბელევსკის პოლკის 12 ჯარისკაცი და რამდენიმე ყაზახი რუსი დასტოვა უნტერ ოფიცერი იაკოვლევის უფროსობით და თითონ კი ქუთაისს დაბრუნდა. ამ ციხის აღების წინედ, როდესაც სოლომონ მეფე ქართლს მიდიოდა, მთავარ-მართებელთან მოსალაპარაკებლად, ხალხს დაუბარა, რომ თუ მთავარ-მართებელი ყველა ჩემს პირობას არ აასრულებს, მაშინ მე ისევ უკან დავბრუნდები და იარაღით ხელში ჩემს უფლებებს აღვადგენო. ასთივე განკარგულება გაუგზავნა სოლომონმა იმ ციხეების უფროსებსაც, რომლებიც მაშინ კიდევ გამაგრებულნი იყვნენ, მაგ. მუხურისა, ჩხერისა, საპაიჭაო და ქვიშისა.

გენ. პოტტოს სიტყვითა და პატივც. ალექსანდრე ხახანაშვილის თქმით, სოფ. მუხურა რაჭაში არის, რაც სიმართლეს მოკლებულია ორივეს მხრით. სოფ. მუხურა მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მაღალ და მიუვალ მთებში, რომელიც დაფარულია გაუვალი ტყით, სამი მხრით სოფელი შემოზღუდულია მაღალი სალი კლდით, რაც მნახველს ერთბაშად ხელით ნაკეთები ეგონება. ამ ვეებერთელა კლდეებს შუა, ერთ განცალკევებულ მაღალ სალს კლდეზე, აღმართულია თითონ ციხე. ციხის გარშემო რამდენიმე ვერსის მანძილზე უდაბნო ადგილებია და ოღრო-ჩოღრო ხევები ჩაუდის. ახლო არც ერთი სულიერი არ ცხოვრობს, არემარის მყუდროებას მხოლოდ მთის მდ. მუხურის ღრიალი არღვევს. სოფელში დღესაც ერთად-ერთი ხეირიანი გზა შედის, ისიც ზესტაფონის მხრით, ამ გზით მხოლოდ პატარა ურმებით შეიძლება სიარული. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გზები უნდა ყოფილიყო იქ ამ ასი წლის წინად. სახელიც ამ სოფლისთვის ზედ-ამოჭრილი დაურქმევიათ—მუხურა, მართლაც რომ მიხურულია, დაფარული ანუ დახურული გარშემო მაღალი მთებით. ასეთ ციხეში გაატარა რამდენიმე წელი ბატონიშვილმა კონსტანტინემ. დღეს მუხურაში თითქმის ყველამ იცის გადმოცემით, რომ იქ ციხეში ერთ დროს მეფის შვილი იყო დატყვევებული. ამ ოცი წლის წინად მუხურაში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული რევაზ აბესაძე, რომელსაც ჩემთვის ხშირად უამბნია ციხის წარსული ამბავი. მისი თქმით, როდესაც ციხეში ბატონიშვილი იყო დატყვევებული, მის სარჩენად მეფის კაცები ხორაგს სოფელში კრეფდნენ და ციხეში მიქონდათ თურმე. რუსების შემოსვლის დროს კარგა მოზდილა ბიჭი ვიყავი, მიამბობდა ხოლმე მოხუცი რევაზი. როცა გავიგეთ, რუსები მოდიანო, მთელი სოფელი აიკრიბა, სახლები დააცარიელეს, ყოველივე, რაც გააჩნდათ, თან წაიღეს და მაღლა ჯებირზე *) ტყეში გავიხიზნეთო. სოფელში შემოსავალი გზები ყველა დიდრონი წიფლის ხეებით ჩავხერგეთო. ძალიან შეშინებულნი იყვნენ ქალები, რადგანაც მათ რუსები არ ინდობდნენო. მტირალა ბავშვებსაც რუსის შიშით აჩუმებდნენო. გაჩუმდიო, ეტყოდათ დედა შვილს, თორემ რუსი გაიგონებს, მოვა და ყურს მოგჭრისო.

გენერალ სიმონოვიჩმა ციხეს, დამორჩილების შემდეგ, აფეთქება მოუნდომა, მაგრამ ახალმა არეულობამ ხელი შეუშალა. მეამბოხეებმა ციხეს ალყა შემოარტყეს და შიგ მყოფი გარნიზონი შუაში მოიმწყვდიეს. ერთი თვის ცდამ ვერა გააწყო და მეამბოხეებმა ვერ სძლიეს ციხის მცირე გარნიზონი. ერთხელ მეამბოხეებმა ციხის კომენდანტს უნტერ ოფიცერ იაკოვლევს შეუთვალეს: „დაგვნებდი, სჯობია, მითვის რომ გენერალი ორბელიანი დამარცხდა და სურამისაკენ წავიდა და თქვენი მშველელი აღარავინ არისო“. პასუხად უნტერ ოფიცერმა შემოთვალა: „ფიცი გვაქვს დადებული, დავიხოცებით და ჩვენი დამონება კი არ შეიძლებაო“.

17 აგვისტოს გენერალმა სიმონოვიჩმა დაამარცხა მეამბოხე იმერლები სოფ. გოგნთან, 26 აგვისტოს მუხურაში გადავიდა და იქ ალყა შემორტყმულ მუხურის ციხის გარნიზონი განათავისუფლა. დიდი სიმამაცე და მხნეობა გამოიჩინა ციხის მცირე გარნიზონმა, მიუხედავად შიმშილ-წყურვილისა და სხვა და სხვა ავადმყოფობისა, ერთ თვეს შესძლეს მრავალ-რიცხოვანი მტრის გამკლავება. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დიდი ყურადღება მიაქცია მეციხოვნეთა საგმირო საქმეს. უბრძანა მთელ რუსის ჯარისათვის გამოეცხადებინათ მუხურის გარნიზონის სიმამაცე.

უნტერ-ოფიცერი იაკოვლევი დაჯილდოვებული იქმნა წმ. გიორგის ჯვრით და ასი მანეთი ფულით, ამას გარდა მას დაუნიშნეს გვარდიის ფელდფებელის ჯამაგირი, რომელსაც სამსახურის გათავების შემდეგ სამუდამო პენსიად უნდა გადაჰქცეოდა. დანარჩენ ჯარის კაცებს საჩუქრად თვითეულს 25 მანეთი ებოძათ[9]).

**ავ. აბესაძე.**

[6]) ბატონიშვილი კონსტანტინე გარდაიცვალა რუსეთში 1844 წ. დარჩა ორი შვილი უგანათლებულესი თავადები იმერეტინსკები. (ამათ ბაგრატიონებს არ უწოდებდნენ, ბაგრატიონ იმერეტინსკის წოდება სოლომონ II შთამომავლობას შერჩა).

[7]) ეს მოხდა აპრილში 1810 წ.

*] ჯებირი სახელია ერთი მაღალი მთისა.

[9]) Кавказская война въ очеркахъ т. 1. с. 498.

---

# ქართული საღამო ბაქოში

ერთ თვეზე მეტია ადგილობრივი ქართული კოლონია შეუდგა მზადებას ჩვეულებრივ ქართულ საღამოსთვის. არც საკვირველია: ეს საღამო ყოველ წლიწადს ხუთას-ექვსას თუმანზე ნაკლებს არ იძლევა და ამ შემოსავლით ინახება ქართული სკოლა. საღამო გაიმართება შაბათს, 25 იანვარს, საზოგადო საკრებულოს დარბაზებში. საღამოს მთელი ადგილობრივი ქართველობა ესწრება. რა თქმა უნდა, ბაქოელი ქართველობა წელსაც არ უღალატებს ტრადიციას და უკლებლივ დაესწრება, მით უმეტეს წლევანდელი საღამო მეტად და მეტად საინტერესო იქნება. კომისიამ, რომელსაც საღამოს მოწყობა აქვს მინდობილი, უკვე შეიმუშავა პროგრამა. სხვათა შორის, ტფილისიდან მოწვეულნი არიან ოპერის ცნობილი არტისტები ქ-ნი ალეშკო და ბ-ნი ივანე სარაჯიშვილი. მოწვეულნი არიან აგრეთვე ცნობილი მომღერალი საიმპერატორო [illegible] არტისტი ტომაშევიჩი (ბ[illegible]რებს ქართულადაც) და საიმპერატორო თეატრისავე არტისტი ვ. ი. პეტროვი (წაიკითხავს „მწირს“). მონაწილეობას იღებს ჩვენი დრამატიული სექციაც. ქ-ნთ ქ. ანდრონიკაშვილის და ც. ამირაჯიბის და ბ-ნ აწყურელის მონაწილეობით წარმოადგენენ მხიარულ კომედიას „დედის ერთას“. სცენაზე გაიმართება ლეკური, რისთვისაც ტფილისიდან განსაკუთრებული მოცეკვავენი არიან მოწვეულნი. ვიმეორებ, საღამო ძალიან საინტერესო იქნება. საღამოს პასუხისმგებელი გამგე, როგორც ყოველთვის, იქნება კნეინა თამარ დადიანისა. დიასახლისებად მოწვეულნი არიან ყველა ეროვნების წარმომადგენელნი: ქ-ნნი ტაგიევისა, ასადულაევისა, მუხტაროვისა, მარტინოვისა, ვონსოვიჩისა, თუმანიანცისა, ციტოხცევისა და სამელსონისა.

# ქართული წიგნების გამომცემელთა საყურადღებოდ.

(ღია წერილი ახალციხიდან).

ქართული წიგნების გამომცემლებმა ყველამ კარგად იციან, რომ მე არ ვყოფილვარ მეწიგნე და არა მქონდა წიგნის სავაჭრო, მაგრამ იმათ გამოგზავნილ წიგნებს კი მთელი 10 წელიწადია ვავრცელებ ახალციხისა და მისი მაზრის ქართველთა შორის და ნავაჭრს ფულსაც სრულიად უგზავნიდი ხოლმე დანიშნულებისამებრ. რადგანაც ამ ბოლო ხანებში წიგნების მოთხოვნილებამ უფრო მკვიდრად მოიკიდა ფეხი და, ცოტა არ იყოს, მეც ვეღარ მევიძელი ჩემი სამსახურისა გამო, როგორც მასწავლებელმა, ყველა წიგნის მსურველები დამეკმაყოფილებინა, ვამჯობინე გახსნილიყო ჩვენში წიგნის სავაჭრო. ბევრს ვურჩიე გაეხსნათ ქართული წიგნების სავაჭრო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერავინ მოვიხელთე, რადგანაც ვერ გაბედეს ისეთი სავაჭროს გახსნა, რაც ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩვენში, რადგანაც ეშინოდათ, ვაი თუ არ ივაროგოს და ვიზარალოთო. რახან სხვებმა ვერ გაბედეს, მაშინ მევე გადავსწყვიტე და პატარა თანხით პირველ იანვრიდან პატარა სავაჭრო გავხსენი ისევ ჩემი ხელით დასაბუთებული ქართული წიგნების გამომცემლების იმედითა, რომლებსაც დღემდე ჩემთან საქმე ჰქონიათ ხოლმე. იმედია, ახლა უფრო მეტს გამოცემებს გამომიგზავნიან საკომისიოდ და სირცხვილს არ მაჭმევენ ჩვენი მკითხველი მუშტრების წინაშე მოთხოვნილი საქონლის უქონლობითა და გამშვენიერებენ ჩემს პატარა მაღაზია—საწყობს სხვა და სხვა გვარის წიგნებით მუშტრის დასაკმაყოფილებლად. აგრეთვე დიდი იმედი მაქვს, ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოებაც უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევს ჩვენს ახალს სავაჭროს და თავის გამოცემებიდან ხუთ-ხუთს, ათ-ათ ცალს ყველა წიგნს გამოგვიგზავნის ხოლმე საკომისიოდ და სახელმძღვანელო წიგნებიდანაც შეღავათებით დაგვითმობს და ჩვენს სავაჭროს შეაძლებინებს არსებობას იმ დაკარგულს კუთხეში, როგორიც არის ჩვენი მხარე და რომელიც საჭიროებს აუცილებლივ ხალხის გონების გასამახვილებელ სავაჭროსა.

მამა ბენიამინ კანდელაკმა, ახალციხე-გორის სასულიერო სამრევლო სკოლების მეთვალყურემ, რომელსაც თავისთან ჰქონდა სახელმძღვანელო წიგნების საწყობი თავისი რაიონის მასწავლებლებისათვის, აღგვითქვა, რომ ამას იქით, იგი საწყობს აღარ იქონიებს და ჩვენი წიგნების სავაჭროდან წაიღებს ხოლმე ქართულს სახელმძღვანელოებსა. ასეთივე იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენი სოფლების სამინისტრო სკოლების მასწავლებლებისაგან, რომ იგინიც ჩვენს სავაჭროს გამოართმევენ ხოლმე.

აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივმა შეგნებულმა პირებმა დიდი იმედი მომცეს, რომ ისინიც დაეხმარებიან ჩვენს პატარა წიგნების სავაჭროს ადგილობრივ ქართველ საზოგადოებაში წიგნების გავრცელებით.

პატივისცემით **კონსტ. გვარამაძე.**

მისამართი: ახალციხე, წიგნების სავაჭრო კ. გვარამაძისა, ძველი აბასთუმნის ქ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** როდესაც აფიშაზე ვკითხულობთ რომელიმე უცხო პიესის სახელს, განსაკუთრებით არისტოკრატების ყოფა-ცხოვრების გამომხატველს, მუდამ ერთი და იგივე ფიქრი გაუელვებს ხოლმე ქართულ თეატრის მოსიარულეს: კვლავ ფრაკები და სმოკინგები მოუხეშავად ჩაცმული, თითქოს შემთხვევით ნასყიდი ტანისამოსია, კვლავ ტანჯვა-წამება მსახიობებისა იმის დასამტკიცებლად, რომ უმაღლეს წრეების არისტოკრატებს არა ჰქონდათ არავითარი გემოვნება, არ იცოდნენ სიარული, მანდილოსნებთან ქცევა, დაჯდომა, მიხვრა-მოხვრა და სხვა. ყველა ამის მიზეზი ის

არის, რომ ჩვენი მსახიობები ნაკლებ აქცევენ ყურადღებას ყველას, რასაც საჭიროებს არისტოკრატიული bon ton-ი. არც ერთმა ჩვენმა მსახიობმა, ქალებმაც კი არ იციან ხეირიანი ცეკვა,—პლასტიკა, სიმღერა, დაკვრა; უცხო ენების ცოდნის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია რასაკვირველია, ასეთი პიესები, განსაკუთრებით კი „სალონების“ გამომხატველი, სრულებით ვერ ეხერხება ჩვენ მსახიობებს. „მარგარიტა გოტიე“-ც ამგვარ პიესებს ეკუთვნის და ამიტომ საკვირველი არ არის, თუ ჩვეულებრივ მოვლენას მოველოდით და წინ-და-წინ აკვიატებული აზრი გვქონდა ანსამბლის შესახებ. სასიამოვნოდ, აზრი გაგვიმტყუნდა. წარმოდგენამ ჩინებული შთაბეჭდილება დასტოვა. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ანსამბლი საუცხოვო იყო, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ უმთავრეს მომქმედ პირთ დანარჩენნი ყოველნაირად უწყობდნენ ხელს; მართალია, მსახიობებმა ვერ იქონიეს შთაბეჭდილება პირ წმინდა არისტოკრატიზმისა, მაგრამ რამდენადმე დაუახლოვდნენ და ესეც სანაქებოა. 19 იანვრის წარმოდგენაში თუმცა სავსებით ვერ მოუცილებიათ მსახიობებს ჯერ ეს ნაკლი, მაგრამ „ტრადიციები“ მაინც შეუცვლიათ და ეს პირველი ნაბიჯი სწორედ სასიამოვნო აღსანიშნავია.

ნაზი, მხატვრული და საუცხოვო ლამაზია დიუმას შემოქმედების ნიჭის ნაყოფი,—მარგარიტა გოტიე. ლამაზია იგი სიყვარულის დროს, ლამაზია სიყვარულისათვის თავგანწირვის დროს და ლამაზია გარყვნილების დროსაც კი. მისი ცხოვრების იმ ხანებში, რომელიც გამოსახულია პიესაში, რამდენიმე ხანაა სრულებით განსხვავებული ერთი მეორისაგან. ამ პერიოდებს ჰქმნიან ის მკაცრი ძირითადი ცვლანი მარგარიტას ცხოვრებაში, რომელნიც მას ჯერ სიმშვენიერით საოცნებო მწვერვალომდე აიყვანენ და შემდგომ კი ულმობელად გამოაცლიან ფეხით ნიადაგს. პირველი მომენტები ამ როლისა ლირიულია, მიუხედავად იმისა, რომ გარეგან ცხოვრების მიხედვით მარგარიტა გასაოცარი მხიარულია, ცქრიალა, თვითნება და სხვა. მაგრამ ყველა ეს ავადმყოფური მხიარულების მომასწავებელია. ამით ჰფარავს და ახშობს მარგარიტა გულში თავის მდგომარეობის შეგნების საშინელებას. საერთოდ, სადაც კი გმირია საჭირო, ბ-ნი ნ. ჩხეიძე შეუდარებელია, საარაკოდ იზრდება მაყურებლების თვალში, აბობოქრებული, ტალღასავით ჰქუხს და გადმოჰხეთქეს მძლავრი ნიჭი, მგზნებარე გრძნობა (მედეა და სხვა) მაგრამ ლირიული ხასიათის როლები ხელებს უბოჭავს მას. პირველ მოქმედებებში ავადმყოფური მხიარულება, ჭაბუკური სიმკვირცხლე, დიდ სიცოცხლეს ითხოვს მსახიობისაგან. ნ. ჩხეიძეს დაღლილობა ეტყობოდა; იგი გრძნობდა ამას და, როგორც ხელოვანი მსახიობი, სცდილობდა შესაფერი სიცოცხლით გადმოცემას როლისას. მაგრამ ის თითქოს რეჩიტატიული გადმოცემა როლისა არ იყო კარგი: უფრო ანელებდა შთაბეჭდილებას. სამაგიეროდ შემდეგ მოქმედებაში, სადაც ისეთ სულიერ განცდას განიცდის მარგარიტა, სადაც შეიძლებოდა ფართოდ გაშლა ნიჭისა—ნ. ჩხეიძეს თამაში კლასიკური იყო, უნაკლო; მისი მარგარიტა გოტიე განსახიერება იყო გრძნობებით სავსე, ნაზი, კეთილი და კეთილშობილი ქმნილებისა, რომელსაც ძალუძს საყვარელი ადამიანის კეთილდღეობას ანაცვალოს პირადი ბედნიერება და მიუხედავად ყოველივე შეურაცხყოფისა, მაინც არ გასთქვას ჟორჟ დიუვალი, რომლის გულისათვისაც იღებს ამ შეურაცხყოფას. საუცხოვო იყო ნ. ჩხეიძე აგრეთვე უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც მშვენიერი ილიუზია შეჰქმნა მომაკვდავ საბრალო ქალისა. დაუსრულებელი ოვაციები იმის მოწმე იყო, რომ მაყურებლებში მან სრული თანაგრძნობა გამოიწვია განსახიერებული პიროვნებისადმი, რაც საუკეთესო ჯილდოა მსახიობისათვის.

არმან დიუვალის როლს ბ. იმედაშვილი ასრულებდა. ბევრი შეიძლება დაიწეროს მსახიობის ღირსებებზე. უმთავრესი მათგანი მსახიობის გრძნობა და გულწრფელობაა. ბ-ნი იმედაშვილი თითქმის განიცდიდა არმანის დრამატიზმს, ფსიქოლოგიურად ტიპი სწორი იყო და მხატვრული. მაგრამ იმედაშვილის მანერები, პირველ მოქმედებებში, სადაც საჭიროა არისტოკრატიული გულცივობა, აუღელვებლობა და თავდაჭერილობა ცოტათი ხელს უშლიდნენ შესაფერ შთაბეჭდილების შექმნას. შემდეგ, სადაც მსახიობი გრძნობით გატაცებულია, იმედაშვილი უნაკლო იქნებოდა, რომ მიმიკას არ ეღალატნა. ცოტა მკრთალი იყო მისი თამაში უკანასკნელ მოქმედებაში, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა მხატვრული შთაბეჭდილების მოხდენაში და საიმედო პარტნიორი იყო ნ. ჩხეიძისა. დანარჩენთაგან ყველანი ანსამბლს ერთგულად ემსახურებოდნენ. ვ. გუნიას (ჟორჟ დიუვალი) უნდა შევნიშნოთ, რომ ცოტათი მაყურებლის ყურს ეხამუშება ყოველი სიტყვის ხაზის გასმა. პიესა გემოვნებით იყო დადგმული. სტილი დაცული იყო. ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო და ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

**მელანი.**

P. S. შეუძლებელია ასეთი დიდი ანტრაქტები. შეუძლებელია აგრეთვე პიესის გათავება აგრე გვიან.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**19—20 იანვარი.**

## უცხოეთი.

**დორტმუნდი.** ქვის ნახშირის მაღაროში აფეთქება მოხდა. მოკლულია 22, დაჭრილი 17 მუშა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ ხმის უმრავლესობით უარჰყო მთავრობის წინადადების განხილვა. მთავრობა ამ წინადადებით მოითხოვდა, რომ ერთი თვის განმავლობაში ამომრჩეველთ გამოეთქვათ თვისი აზრი, საჭიროა თუ არა უმრავლესობა იყოს დაცული, თუ დაწესდეს პროპორციონალური წარმომადგენლობა.

**რომი.** „ოსერვატორე-რომანო“ ჰბეჭდავს ბრძანებას, რომლითაც აკრძალულ წიგნთა სიაში შეტანილია მეტერლინკის ხაწერები.

**კაპშტადტი.** გენერალ-გუბერნატორმა პარლამენტის სხდომები გახსნა. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ 20 იანვარს შემოიტანს სამხედრო წესების გაუქმების კანონპროექტს. გადასახლება მოელის ყველა არა სასურველ ემიგრანტს, აგრეთვე მუშათა ბელადებს, თუ სამშობლოში დაბრუნდებიან.

**ნიუ-იორკი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ „მონროსიის“ კატასტროფის დროს დაიღუპა 23 მგზავრი და 24 მეზღვაური.

**ქაირი.** გაჩხრიკეს სომეხი, ახალგაზრდა ოსმალთა მომხრე. სომეხს შეთქმულება უნდა მოეხდინა.

**ტოკიო.** რიხტერის საქმის გამო, რომელსაც საზღვაო სამინისტროს საიდუმლოების გაცემა ჰბრალდებოდა და მიესაჯა ორი წლის კატორღა, დააპატიმრეს რეიტერის სააგენტოს აგენტი პულეი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იტყობინება, დარწმუნებული ვართ, რომ სააგენტოს კორესპონდენტი პულეი ამ საქმეში უდანაშაულოა და შემთხვევით არის დაპატიმრებული; ამასთანავე აცხადებს, რომ ტოკიოში ამ საქმესთან სააგენტოს არავითარი კავშირი არა ჰქონიაო.

**პარიზი.** საგარეო საქმეთა კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც 19 მარტის დეკრეტის წინააღმდეგ არის მიმართული; ამ დეკრეტით მცირე აზიასა, შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილო ამერიკაში საფრანგეთის საელჩოთა რიცხვი მცირდება.

**რომი.** გაიხსნა რადიკალთა საგანგებო კონგრესი. კონგრესი მოწვეულია სხვა და სხვა პარტიათა სურვილით, რათა მთავრობას პროტესტი გამოეცხადოს არჩევნებში უკანონოდ მოქმედების გამო.

მთავარი განსახილველი საგანი კონგრესისა არის დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში პარტიის დირექტივების საკითხი და რადიკალთა მონაწილეობის საკითხი კაბინეთში. პარტიის მემარცხენე ელემენტები ამ გვარ მონაწილეობას გადაჭრით უარჰყოფენ.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო უარჰყოფს ცნობებს, ვითომც იამბოლსა, ფრაცსა და სვიშჩოვში აგრარულმა რევოლიუციამ იფეთქა და თითქოს მღვდლები იდგნენ მოძრაობის სათავეში.

**ლონდონი.** გერფორდის საგრაფოში სკოლების მასწავლებლებმა გაფიცვა მოახდინეს. მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას. ორშაბათს გერფორდში 100 სკოლა დაიკეტება.

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიურო“-ს ატყობინებენ ვალონიდან: „დასრულდა ოსმალეთის მაიორის ბექირ-აღის პროცესი, რომელსაც ჰბრალდებოდა 1913 წ. 29 დეკემბრის აჯანყების მოხდენა. ბექირ-აღას სიკვდილი გადაუწყვიტა სამხედრო სასამართლომ; დანარჩენ მონაწილეებს სხვა და სხვა ვადის ციხე მიესაჯათ; რამდენიმე გაამართლეს.

**სოფია.** საბერძნეთ-ბულგარეთის დიპლომატიური ურთიერთობა მალე განახლდება.

**პარიზი.** გავასი იტყობინება: საფრანგეთის ელჩმა დელკასემ საფრანგეთის მთავრობის მინდობილობით მოლაპარაკება გამართა რუსეთის მთავრობასთან პუტილოვის საკითხის თაობაზე. როგორც გამოირკვა, ინციდენტს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორსაც მას პრესა აწერს.

**მარმაროშ-სიგეტი.** მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა გრძელდება.

**ბერლინი.** იმპერატორმა მიიღო ელზას-ლოტრინგიის მთავრობის გადადგომის თხოვნა. მეფის მოადგილე გრაფ ვედელი იმპერატორის თხოვნით დროებით ასრულებს თანამდებობას, ვიდრე თანაშემწეებს არ გამოსძებნიან.

**ვენა.** ძირითადი კანონების მეთოთხმეტე მუხლის ძალით გამოიცა მეფის ბრძანება 1914 წლის დროებითი ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაზე.

**მაგური.** კაიომ ამომრჩეველთა წინაშე სიტყვა წარმოსთქვა; იგი იცავდა არაჩვეულებრივ გადასახადებს და სესხის აღების თანდათანობას.

## რუსეთი.

**ოდესა.** ქალაქის საბჭომ გადასდო 1.000 მანეთი ავსტრიის დამშეულ გალიციელთა სასარგებლოდ.

**პეტერბურგი.** დასრულდა მუშაობა საგანგებო თათბირისა ფინლანდიისა და რუსეთის იმპერიის სადამოჟნო გაერთიანების თაობაზე. რუსეთის წარმომადგენლებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ მეტალურგიის რუსეთის მრეწველობაზე გაერთიანება ცუდად იმოქმედებსო. თამბაქოს მრეწველთა წარმომადგენლების აზრით გაერთიანება თან და თანობით უნდა ხდებოდეს.

**რიგა.** დაიწვა გრინბერგის პრობკის ფაბრიკა.

**პეტერბურგი.** ბეჭვდითის სიტყვის სათათბიროს კომისიამ მუშაობა განაახლა. განიხილეს რამდენიმე მუხლი დრამატიულ ცენზურისა.

გრაფი ბობრინსკი მარმაროშ-სიგეტში წავიდა.

**პეტერბურგი.** 19 იანვარს დაიწყო სრულიად რუსეთის კრება საბირჟო ვაჭრობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმომადგენელთა.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური ცნობა). გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ უცხოეთის ერთ-ერთი ფირმა პუტილოვის ქარხნის ამხანაგობაში შედის აქციის შეძენითო. ეს ხმები გავრცელდა იმის გამო, რომ განზრახული იყო პუტილოვის ქარხნის თანხების გადიდება ახალი აქციების გამოშვებით, ნამდვილად არამც თუ აქციების გამოშვება არ მომხდარა, არამედ მთავრობის წინაშეც არ აღძრულა ამ საქმის თაობაზე შუამდგომლობა.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ ამ წერილს: უგულითადეს მადლობას ვუცხადებ „Закавказье“-ს, „იმერეთი“-ს და „მერცხალი“-ს რედაქციებს, რომლებმაც უფასოდ უგზავნეს გაზ. შარშან და წელსაც უგზავნიან გარდა „მერცხლისა“ ჩემდამი რწმუნებულს ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ვერის სახალხო სამკითხველოს. აგრეთვე დიდ მადლობას ვწირავ იმ კერძო პირთ და დაწესებულებათ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულს და პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის ქართულ სამკითხველოებს წიგნები: ალ. ბაიდოშვილმა 20 წიგნი, ღირებული 12 მ. ზ. ჭიჭინაძემ 4 წ.—2 მ. 60 კ., იოს. გარსევანიშვილმა 10 წ.—1 მ. 67 კ., ივ. ავალიშვილმა 1 წ.—1 მ., კოწ. თავართქილაძემ კალენდრები, მიხ. გაჩეჩილაძემ 2 წ.—70 კ., ბ. ხერხეულიძემ 2 წ. 60 კ., სტუდ. გრ. გორგაძემ 1 წ. 50 კ., ნ. წუწუნავამ 3 წ. 30 კ., მიხ. ლელაშვილმა 1 წ.—10 კ. „თემის“ რედ. 3 წ.—90 კ., „განათლების“ რედ. 3 წ.—1 მ. 80 კ., და „ჯეჯილის“ რედ. 6 წ. 5 მ. 92 კ., ამ წიგნებიდან 13 ცალი გავუგზავნე დანიშნულებისამებრ პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის ქართულ სამკითხველოს.

პატივისცემით ვერის სამკითხველოს გამგე **ნინო ენუქიძე.**

ბ-ნო რედაქტორო!

ამით ვაცხადებ, რომ 1914 წ. ყოველი ანგარიში ჩავაბარე ალაგირის ქართული სკოლის გამგეს მღ. მამა გაბრიელ ბოჭორიშვილს და ყოველი შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს ზემოხსენებულ პირზე შემდეგ მისამართით: სოფ. ალაგირი, (თერგის ოლქი) მღვდ. მამა გაბრიელ ბოჭორიშვილს.

დღემდის შემომწირველთა ანგარიში გამოცხადდება ამ დღეებში.

პატივისცემით **პეტრე დავითის ძე მეტრეველი.**

# შემოწირულება

1913 წლის დამლევს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) შალვა ალექსანდრეს ძემ ქარუმიძემ: ა) ხელნაწერი—ვახუშტის ისტორია და გეოგრაფია, ბ) ხუცური სალოცველო, ნაბეჭდი და გ) ხელნაწერი „ომაიანი“.

2) თამ-რმა, ნაცვლიშვილის ასულმა: ორი ქართული ფული (ერთი თეთრი, ერთი შავი).

3) იაკობ ლომინის ძემ შავარდნაძემ ექვსი თეთრი ფული (ერთი ქართული, ერთი თათრული).

4) გიგო მესტვირიშვილმა: ირაკლი მეფის მიერ ბოძებული სიგელი.

5) გიორგი ესტატეს ძემ ბაგრატიონ-მუხრანსკიმ: ა) „სადღესასწაულო წიგნი“, მხედრული ხელნაწერი (წინასიტყვაობა აკლია და ბ) ხუცური სახარება, ნაბეჭდი.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**




ულაპლეს სასაპნის იჯორადორი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან. 1018


# მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

## ტფილისიდან გადის.

**ბაქოსაკენ:** № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. სად. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, სამ. დილ. 8 ს. 3 წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** საფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. 0 წ.

**ყარსისკენ:** სამ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევნისაკენ:** № 24/23, საბარგ.-სამგზ. საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

## ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგზ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს. 12 წ.

**ჯულფიდან** № 413 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26125 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.


# სამკურნალო საავადმყოფო
# ი. უხაროვისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვორონცოვის შესახვევი № 8. მიღება მწოლიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 პ. ფომინა-ოხიმთვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქალანთაროვი (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ა. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათაძე (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 გ. ა. მირზოევი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და ვაჭრობის სანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, გლისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# იყიდება
# ვენახი

2 დეს. 990 ოთხკ. საჟენ. საკუთარი მილის წყლით, სოფ. კოდაში, (საფოსტო სადგური ტფილისიდან 27-ე ვერსზე). მიმართეთ: ბებუთოვის ქუჩ. № 56, ბინა 4, დილის 3—5 ნახევ. ს.-დე, საღამ. 8—9-ნახევ. ს.-დე. 21

# ექიმ ნაგახარაშვილის (?)
# პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

## დილით:

## „606“ და „914“

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საშვილოსნოს ქალებისა და ბავშვებისა.

**გ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ბეგეტიხანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.

## საღამოთი:

**მ. გ. ბეგეტიხანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის **1004** დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.**

# ექიმი

**კბილისა** **ნინო რცხილაძე**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ქ. ქუთაისში

# დაიწყო ხელის მოწერა

**ია ეკალაძის** (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად. წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს, დართული ექნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

**წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზად.**

ხელის მოწერა მიიღება ბ-ნ ბ-ნ კ. ოცხელის, ის. კვაცარიძის, თ. მთავრიშვილის, „პროგრესის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

**ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით: ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა. გამომცემელი **ეპ. ცინცაძე.** 22

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

# საბუღალტრო კურსები
# ხ. პ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1896 წ.)

„სავაჭრო ბუღალტრის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალურ სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე, **სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ ისწავლება: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერია, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენცია; ვექსილისა და ვაჭრობის უფლება—პოლიტიკური ეკონომიის; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასი: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ. კურსის ბიუროში ცნობები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აძლევს სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს, მოლარეებს და სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმჯდომარისა. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1634

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**შემდეგი წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აზრდილი, ი. ქავჭავაძისა, ფასი | 5 კ. | ძღვენი დიმიტრი თავდად. მისივე. | 7 „ |
| გლახის ნაამბობი, მისივე . | 20 „ | მოთხრობანი კლდიაშვილისა, | 30 „ |
| გლეხთა განთავისუფლ. პირველ დროებ. სცენები, მისივე. | 7. „ | მგზავრის წერილები, ილიასი. | 7 „ |
| დედა და შვილი, მისივე. . | 3 „ | ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან, წულუკიძისა, . | 50 „ |
| ვეფხის ტყაოსანი. . . | 60 „ | ოთარაანთ ქვრივი, ილიასი. | 18 „ |
| თხზულებ. რ. ერისთავისა II, | 40 „ | რობინზონ კრუზო. . . | 30 „ |
| „ ვაჟა-ფშაველასი. | 1 მ.— | უცნაური ამბავი, ილიასი, . | 4 „ |
| „ ეკ. გაბაშვილისა. | 1 მ. 20 „ | ქალიკა და დამანა. . . | 1 მ.— |
| „ პუშკინისა. . . | 50 „ | ჩარლზ პარნელი. . . | 25 „ |
| თორნიკე ერისთავი. აკაკისა, | 35 „ | **ახლად გამოცემული წიგნები:** | |
| კრილოვის არაკ., აკაკის ნათ. | 50 „ | სიტყვ. ისტ. ხახან. XVIII ს. | 1 მ. 20. |
| კაკო ყაჩაღი, ილიასი . | 5 „ | ბიძია თომას ქოხი, („ნაკადულის“ პრემია), . . | 1 მ. 25. |
| კაცია ადამიანი, მისივე. . | 20 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 8.

ტელეფონი № 712.

# განყოფილება
## ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

# იყიდება
იმავე ხარისხის
# საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.